თავი IV
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2016 წლის 3 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა 57 231.3 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 32 259.6 ათასი ლარის ოდენობით.

2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 109 768.7 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	102,196.0	109,768.7
სესხები	38,359.0	67,982.5
აქციები და სხვა კაპიტალი	63,837.0	41,786.2

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 77 509.0 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	234,419.8	77,509.0
ვალუტა და დეპოზიტები*	229,619.8	72,413.4
სესხები	4,800.0	5,094.5
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	1.1

*გამომდინარე იქიდან, რომ 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 622 363.2 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2016 წლის 1 აპრილისათვის განისაზღვრა 549 949.8 ათასი ლარით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა (-24 971.7) ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 92 798.8 ათასი ლარი, მათ შორის:

- (-29 830.5) ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 122 629.3 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	102,666.6	92,798.8
საშინაო	-29,082.0	-29,830.5
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	-29,082.0	-29,830.5
საგარეო	131,748.6	122,629.3
სესხები	131,748.6	122,629.3

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**122,629.3**
IFAD	83.2
WB	37,424.8
EBRD	1,058.4
ADB	50,752.0
EIB	7,235.9
საფრანგეთი	10,648.7
იაპონია	5,595.3
გერმანია	9,830.9
სულ კრედიტები	**122,629.3**

2016 წლის I კვარტლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 11 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 351 400.0 ათასი ლარის მოცულობით. ამავე პერიოდში დაიფარა 372 367.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 58.3% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 33.1% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 5.7% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 2.9% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 329 674.7 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 359 505.2 ათასი ლარი შეადგინა. შედეგად, საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ შეადგინა (-29 830.5) ათასი ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 102.6%-ია.

2016 წლის 3 თვის განმავლობაში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	**ვალდებულებების ზრდა**	**ვალდებულებების კლება**	**ვალდებულებების წმინდა ზრდა/კლება**
იანვარი	117,986.4	110,168.6	7,817.8
თებერვალი	88,569.3	152,230.7	-63,661.4
მარტი	123,119.0	97,105.9	26,013.2
სულ	**329,674.7**	**359,505.2**	**-29,830.5**

3. ვალდებულებების კლება 117 770.5 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	119,280.1	117,770.5
საშინაო	16,036.1	16,494.6
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	6,000.0	6,000.0
სესხები	966.8	966.4
სხვა კრედიტორული დავალიანებები	9,069.2	9,528.2
საგარეო	103,244.0	101,275.8
სესხები	78,296.0	76,327.8
სხვა კრედიტორული დავალიანებები	24,948.0	24,948.0

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2016 წლის 31 მარტის მარტის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 13 199.8 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალი შეადგენს 2 791.8 მლნ ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 360.8 მლნ ლარი; სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 171.0 მლნ ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 348.8 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 238.8 მლნ ლარი; სხვა სავალო ვალდებულებები (ე. წ. “ისტორიული ვალი“) – 672.3 მლნ ლარი.

- სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 10 408.0 მლნ ლარი.

ათას ლარებში

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა 2016 წლის 31 მარტის მდგომარეობით
სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	**10,408,043.9**
მთავრობის საგარეო ვალი	**10,370,681.3**
მრავალმხრივი კრედიტორები	**7,404,938.2**
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,912,503.3
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	1,500,988.0
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	69,244.1
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	266,875.6
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	198,632.4
ევროგაერთიანება (EU)	26,795.0
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,857,875.8
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	572,024.0
ორმხრივი კრედიტორები	**1,776,511.7**
ავსტრია	29,286.9
აზერბაიჯანი	24,577.6
თურქმენეთი	499.8
თურქეთი	47,019.3
ირანი	19,137.3
რუსეთი	200,487.8
სომხეთი	28,815.0
უზბეკეთი	574.1
უკრაინა	524.3
ყაზახეთი	65,766.1
ჩინეთი	7,675.1
გერმანია	652,416.9
იაპონია	441,452.7
კუვეიტი	37,003.6
ნიდერლანდები	3,168.8
ამერიკა	63,828.8
საფრანგეთი	154,277.6
ფასიანი ქაღალდები	**1,183,950.0**
ევროობლიგაცია	1,183,950.0
გარანტირებული კრედიტები	**5,281.4**
გერმანია	5,281.4
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	**37,362.6**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	37,362.6